




# საქართველოს მთავრობის გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

№ 75 2022 წლის 17 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ 2022 წლის 14 იანვარს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 199 933 994 (ას ოთხმოცდაცხრამეტი



მილიონ ცხრაას ოცდაცამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი, მათ შორის:

1.1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 925 911 (ორი მილიონ ცხრაას ოცდახუთი ათას ცხრაას თერთმეტი) ლარისა, დანართ №1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 898 254 (ხუთი მილიონ რვაას ოთხმოცდათვრამეტი ათას ორას ორმოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №2-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 580 531 (ხუთას ოთხმოცი ათას ხუთას ოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №3-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.4. ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 854 187 (ორი მილიონ რვაას ორმოცდათოთხმეტი ათას ას ოთხმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №4-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.


1.5. ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 889 190 (ორი მილიონ რვაას ოთხმოცდაცხრა ათას ას ოთხმოცდაათი) ლარისა, დანართ №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.6. ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 025 211 (ოთხი მილიონ ოცდახუთი ათას ორას თერთმეტი) ლარისა, დანართ №6-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.7. თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 889 329 (ორი მილიონ რვაას ოთხმოცდაცხრა ათას სამას ოცდაცხრა) ლარისა, დანართ №7-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.8. სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 567 355 (სამი მილიონ ხუთას სამოცდაშვიდი ათას სამას ორმოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართ №8-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.9. საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 572 798 (ოთხი მილიონ ხუთას სამოცდათორმეტი ათას შვიდას ოთხმოცდათვრამეტი)



ლარისა, დანართ №9-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.10. ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 547 697 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდაშვიდი ათას ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №10-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 141 501 (ექვსი მილიონ ას ორმოცდაერთი ათას ხუთას ერთი) ლარისა, დანართ №11-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.12. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 112 687 (ოთხი მილიონ ას თორმეტი ათას ექვსას ოთხმოცდაშვიდი) ლარისა, დანართ №12-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.13. ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 616 456 (სამი მილიონ ექვსას თექვსმეტი ათას ოთხას ორმოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართ №13-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.14. ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 775 762 (ორი მილიონ შვიდას სამოცდათხუთმეტი ათას შვიდას სამოცდაორი) ლარისა, დანართ №14-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.15. ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 374 126 (ორი მილიონ სამას სამოცდათოთხმეტი ათას ას ოცდაექვსი) ლარისა, დანართ №15-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.16. ახმეტის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 354 476 (სამი მილიონ სამას ორმოცდათოთხმეტი ათას ოთხას სამოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართ №16-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.17. გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 890 395 (ოთხი მილიონ რვაას ოთხმოცდაათი ათას სამას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარისა, დანართ №17-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.18. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 978 748 (ორი მილიონ ცხრაას სამოცდათვრამეტი ათას შვიდას ორმოცდარვა)

ლარისა, დანართ №18-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.19. თელავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 498 898 (სამი მილიონ ოთხას ოთხმოცდათვრამეტი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №19-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.20. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 981 842 (სამი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაერთი ათას რვაას ორმოცდაორი) ლარისა, დანართ №20-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.21. საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 568 597 (ოთხი მილიონ ხუთას სამოცდარვა ათას ხუთას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №21-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.22. სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 697 802 (ორი მილიონ ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ორი) ლარისა, დანართ №22-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.23. ყვარლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 093 676 (ორი მილიონ ოთხმოცდაცამეტი ათას ექვსას სამოცდათექვსმეტი) ლარისა, დანართ №23-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.24. დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 744 848 (ოთხი მილიონ შვიდას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდარვა) ლარისა, დანართ №24-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.25. თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 409 214 (ორი მილიონ ოთხას ცხრა ათას ორას თოთხმეტი) ლარისა, დანართ №25-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.26. მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 176 958 (ოთხი მილიონ ას სამოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №26-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.27. ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 116 511 (ორი მილიონ ას თექვსმეტი ათას ხუთას თერთმეტი) ლარისა, დანართ №27-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.28. ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 104 806 (სამი მილიონ ას ოთხი ათას რვაას ექვსი) ლარისა, დანართ №28-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.29. ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 959 405 (ორი მილიონ ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხას ხუთი) ლარისა, დანართ №29-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.30. ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 528 849 (ხუთას ოცდარვა ათას რვაას ორმოცდაცხრა) ლარისა, დანართ №30-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.31. აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 660 743 (ორი მილიონ ექვსას სამოცი ათას შვიდას ორმოცდასამი) ლარისა, დანართ №31-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.32. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 892 388 (ხუთი მილიონ რვაას ოთხმოცდათორმეტი ათას სამას ოთხმოცდარვა) ლარისა, დანართ №32-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.33. მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 050 488 (სამი მილიონ ორმოცდაათი ათას ოთხას ოთხმოცდარვა) ლარისა, დანართ №33-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.34. მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 351 128 (სამი მილიონ სამას ორმოცდათერთმეტი ათას ას ოცდარვა) ლარისა, დანართ №34-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.35. სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 579 157 (სამი მილიონ ხუთას სამოცდაცხრამეტი ათას ას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №35-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.36. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 547 063 (ოთხი მილიონ ხუთას ორმოცდაშვიდი ათას სამოცდასამი) ლარისა, დანართ №36-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.37. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 423 800 (ორი მილიონ ოთხას ოცდასამი ათას რვაასი) ლარისა, დანართ №37-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.38. წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 343 651 (ორი მილიონ სამას ორმოცდასამი ათას ექვსას ორმოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №38-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.39. ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 852 451 (ორი მილიონ რვაას ორმოცდათორმეტი ათას ოთხას ორმოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №39-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.40. ადიგენის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 296 331 (ორი მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას სამას ოცდათერთმეტი) ლარისა, დანართ №40-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.41. ასპინძის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 125 353 (ორი მილიონ ას ოცდახუთი ათას სამას ორმოცდაცამეტი) ლარისა, დანართ №41-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.42. ახალქალაქის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 288 290 (სამი მილიონ ორას ოთხმოცდარვა ათას ორას ოთხმოცდაათი) ლარისა, დანართ №42-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.43. ახალციხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 904 866 (სამი მილიონ ცხრაას ოთხი ათას რვაას სამოცდაექვსი) ლარისა, დანართ №43-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.44. ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 090 502 (ხუთი მილიონ ოთხმოცდაათი ათას ხუთას ორი) ლარისა, დანართ №44-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.45. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 460 782 (ორი მილიონ ოთხას სამოცი ათას შვიდას ოთხმოცდაორი) ლარისა, დანართ №45-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.46. ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 139 994 (ოთხი მილიონ ას ოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №46-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.47. გარდაბნის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 696 691 (ხუთი მილიონ ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსას ოთხმოცდათერთმეტი)



ლარისა, დანართ №47-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.48. დმანისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 065 717 (ორი მილიონ სამოცდახუთი ათას შვიდას ჩვიდმეტი) ლარისა, დანართ №48-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.49. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 852 330 (ორი მილიონ რვაას ორმოცდათორმეტი ათას სამას ოცდაათი) ლარისა, დანართ №49-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.50. მარნეულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 320 554 (ხუთი მილიონ სამას ოცი ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტი) ლარისა, დანართ №50-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.51. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 7 723 012 (შვიდი მილიონ შვიდას ოცდასამი ათას თორმეტი) ლარისა, დანართ №51-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.52. წალკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 325 728 (ორი მილიონ სამას ოცდახუთი ათას შვიდას ოცდარვა) ლარისა, დანართ №52-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.53. გორის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 7 794 165 (შვიდი მილიონ შვიდას ოთხმოცდათოთხმეტი ათას ას სამოცდახუთი) ლარისა, დანართ №53-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.54. კასპის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 869 569 (სამი მილიონ რვაას სამოცდაცხრა ათას ხუთას სამოცდაცხრა) ლარისა, დანართ №54-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

1.55. ქარელის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 181 959 (ოთხი მილიონ ას ოთხმოცდაერთი ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ №55-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.


1.56. ხაშურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 221 262 (ოთხი მილიონ ორას ოცდაერთი ათას ორას სამოცდაორი) ლარისა, დანართ №56-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ამავე განკარგულების დანართებით გათვალისწინებული პროექტების თანადაფინანსებისათვის შესაბამისი სახსრების კანონმდებლობით დადგენილი წესით გათვალისწინება შესაბამისი მუნიციპალიტეტ(ებ)ის ბიუჯეტ(ებ)ში, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 3<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი

*(Handwritten signature)*



ირაკლი ღარიბაშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქ. ლანჩხუთში დუმბაძის, წმ. ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანაშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაცია	2 591 245.0	2 461 682.0
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	168 473.0	160 049.0
3	ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიის ელექტროფიციერების სამუშაოები	320 190.0	304 180.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>3 079 908.0</b>	<b>2 925 911.0</b>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ციხისფერდი-გურიანთა შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (5261 გრძ.მ)	620 767.0	589 728.0
2	დაბა შეკვეთილის შიდა სასოფლო გზების მოწყობის სამუშაოები (II ეტაპი) - 2410 გრძ.მ	700 379.0	665 360.0
3	სოფ ნატანებში (კაპროვანი) ასფალტო ბეტონის გზის რეაბილიტაცია-1200 გრძ.მ	570 544.0	542 016.0
4	სოფელ ხვარბეთში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (3547 გრძ.მ)	433 390.0	411 720.0
5	ქ. ოზურგეთში დამენიას ქუჩისა და ჯორჯიაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია	223 558.0	212 380.0
6	სოფ. ლიხაური (ოქროსმუხურო)-სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობა	288 605.0	274 174.0
7	სოფ. ბიმიტის ნასაკირალის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	54 891.0	52 146.0
8	ოზურგეთში, ფარნავზ მეფის ქ. N 1- ის მიმდებარედ თორმეტსართულიანი შენობის რეაბილიტაციისა და მის მიმდებარედ სკვერის მოწყობა	1 366 136.0	1 297 829.0
9	ოზურგეთში, სოფ. დვამბუს ცენტრიდან შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.	738 083.0	701 178.0
10	ქ. ოზურგეთში, სოფ. ანასეულში შიდა სასოფლო ცენტრალური გზის რეაბილიტაცია.	1 212 340.0	1 151 723.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>6 208 693.0</b>	<b>5 898 254.0</b>

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფელ კოხნარი-საჭამაისერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	232 385.0	232 385.0
2	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკაურაში საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები	124 095.0	124 095.0
3	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვახლაში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის(ტბისყურის მიმართულებით) სამუშაოები	224 051.0	224 051.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>580 531.0</b>	<b>580 531.0</b>

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე. წ. ზივზივამე-შველიძეების ს/ გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი 2021 წლიდან)	93 277.0	93 277.0
2	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. ხუიძე-კვირიკაშვილების ს/გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი 2021 წლიდან)	325 000.0	325 000.0
3	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. თავხელიძეების ზოგირიდან პირველი საჯარო სკოლისკენ მიმავალი ს/გზის რეაბილიტაცია (დაიწყო 2021 წელს, განხორციელდა გზის ნაწილის რეაბილიტაცია)	814 012.0	814 012.0
4	ე. ბაღდათში კ. ფოცხვერაშვილის ქ-ის ჩიხების გზის საფარის რეაბილიტაცია და ამავე ქუჩაზე, სხვადასხვა ლოკაციაზე გვერდულზე ფერდის გამაგრება	220 566.0	220 566.0
5	სოფ. პირველ ობზაში პატარიძეების უბნიდან სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	798 761.0	798 761.0
6	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე. წ. ზივზივამეების ს/ გზის რეაბილიტაცია	602 571.0	602 571.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>2 854 187.0</b>	<b>2 854 187.0</b>

განის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიკიანების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (გარდამავალის მეორე ეტაპი)	59 881.0	59 881.0
2	ქ. ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (გარდამავალის მეორე ეტაპი) ა. გ. ტაბიძის ქუჩის შესახვევები ბ. წმინდა ნინოს ქუჩის შესახვევები	66 843.0	66 843.0
3	ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდასაუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (ბზვანი-ზედაბზვანის დამაკავშირებელი) (გარდამავალის მეორე ეტაპი)	61 089.0	61 089.0
4	ქ. ვანში საავტომობილო გზების რეაბილიტაცია: ა. თავისუფლების ქუჩაზე ახალი დასახლების შიდა გზები ბ. 26 მაისის ქუჩის მეორე შესახვევი გ. თამარ მეფის შესაბამე შესახვევი დ. წმინდა ნინოს ქუჩის შესახვევი კარაპეტების უბანი /მეორე ეტაპი/	504 583.0	504 583.0
5	ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო-საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ა. ლიფნარის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ბ. ლომინაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია . გ. რეზო ზერიძის ქუჩიდან კუპრაშვილების მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	520 094.0	520 094.0
6	ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო და საუბნო გზების რეაბილიტაცია. ა. ბაძგის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბ., მყვანაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	500 000.0	500 000.0
7	დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში საუბნო გზების რეაბილიტაცია ა. მაღლაკელიძეების და ავ. ხელაძის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბ. სასაფლაოდან მაღლაკელიძეების და მატარაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	518 741.0	518 741.0
8	ციხესულორის შიდასაუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია: ა. ბაღის უბანი ბ. ბრეგვაძეების უბანი ზ. თვალავაძეების უბანი	308 526.0	308 526.0
9	შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია ა.შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში მუქედის დასახლების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბ., სულაბერიძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	349 433.0	349 433.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>2 889 190.0</b>	<b>2 889 190.0</b>

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფელ მეორე სვირში ცხდაბე მერკვილაძეების საუნზო გზის რეაბილიტაცია	143 818.0	136 629.0
2	სოფელ საწაბლის გზის რეაბილიტაცია	70 050.0	66 995.0
3	სოფელ პირველ სვირში ცენტრალური გზიდან ჭულუხაძეები ჭურაძეები გეწაძეების გზის რეაბილიტაცია	739 000.0	702 050.0
4	სანახშირის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (მუხები)	114 732.0	108 995.0
5	სოფელ ცხრაწყაროში მეორე ქუჩაზე საბავშვო ბაღისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	133 096.0	126 441.0
6	მეორე სვირში ჯუღელელების უბნის გზის რეაბილიტაცია	482 879.0	458 735.0
7	სოფელ სვეტმალში გზის რეაბილიტაცია	619 397.0	588 427.0
8	სოფელ ქვ საზანოში ე/წ სამცვერაზე ჩასასვლელი გზის რეაბილიტაცია	467 688.0	444 303.0
9	სოფელ ბოსლევი თაგნერების უბნის გზის რეაბილიტაცია	740 548.0	703 521.0
10	სოფელ ზედა საქარაში ბელღევის გზის რეაბილიტაცია	379 341.0	360 373.0
11	სოფელ განთიადის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	346 044.0	328 742.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>4 236 593.0</b>	<b>4 025 211.0</b>



## თერჯოლის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფ. ზედა საზანოს საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოები	648 833.0	616 391.0
2	სოფ. ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	800 000.0	760 000.0
3	სოფ. ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	800 000.0	760 000.0
4	სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	500 000.0	475 000.0
5	ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია	292 600.0	277 938.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>3 041 433.0</b>	<b>2 889 329.0</b>

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	დაუნარი-ოფეთის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება	221 616.0	212 512.0
2	ქ. სამტრედიაში დადიანის ქუჩაზე რაგბის სათამაშო სტადიონის მოწყობა	236 358.0	226 517.0
3	ქ. სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდ. ლოლოხიდან აეტოსადგურამდე გზის საფარის რეაბილიტაცია	412 266.0	393 629.0
4	ქ. სამტრედიაში, ჭონქაძის ქუჩის მოედანზე ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	95 560.0	92 759.0
5	სოფ. I მიწაბოგირაში ჭაგნის გადასახვევიდან სოფ. ეწრის მიმართულებით	103 611.0	100 407.0
6	ქ. სამტრედიაში, თ. დუნდუას I ჩიხში; რესპუბლიკის მე-5 ჩიხში; ფარნავაზის ქუჩის I ; V ჩიხებში და მე-3 შესახვევში ; ერისთავის ქუჩისა (გეოლოგების კორპუსის გვერდით) და ერისთავის I ჩიხში; ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	231 615.0	222 011.0
7	გომის ადმ. ერთეულში სოფ. გომუხაყრუაში მე-2 ქუჩაზე ბეტონის საფარის მოწყობა	93 595.0	90 892.0
8	ნაბაკვეის ადმ.ერთეულის სოფ. ჩხენიშში ამბულატორიის მშენებლობა	146 867.0	141 500.0
9	წინსვლის ქუჩის გაგრძელება და წინსვლის ქუჩის მე-3 შესახვევში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	200 018.0	191 994.0
10	ქ. სამტრედიაში, ამირან კალაძის ქუჩის III; IV; V; VI; VI-ა; VIII ჩიხებში და I; III; V შესახვევებში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	339 723.0	324 713.0
11	დაბა კულაშში, მეგობრობის N1; N3; N4; N4ა; N5; N6; N7; N8 ჩიხებში ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	105 381.0	100 111.0
12	ქ.სამტრედიაში,ბარათაშვილის ქუჩის, ფიროსმანის I ჩიხში და ელიავას I ჩიხში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	132 665.0	128 008.0
13	ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ახალსოფელში ბორანთან მისასვლელი გზის პარალელურ ქუჩაზე თავისი შესახვევებით ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	209 300.0	200 812.0
14	სოფ. ზემო ნოღაში ე.წ. ბეგეს უბანში ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	229 668.0	220 161.0
15	ვაგზლის მოედნის მიმდებარე სვეერში ჩასატარებელი სხვადასხვა სამუშაოები (მათ შორის საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა)	158 228.0	152 293.0
16	ქ. სამტრედიაში კოსტავას ქუჩიდან აეტოტექმომსახურეობასთან და შ.პ.ს. „პინგვინთან“ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტ ბეტონის საფარით	64 837.0	63 572.0
17	სოფ. ზემო ნოღაში ცენტრალური გზის გაგეგმვაზე სოფლის კლუბიდან სოფ. გამოჩინებულის საზღვრამდე ბეტონის გზის გება	424 001.0	408 745.0
18	ნაბაკვეის ადმ. ერთეულის სოფ. ხუნჯულაურში N4 და N9 გზების და სოფ. ჩხენიშის N10 ქუჩის რეაბილიტაცია ასფალტ ბეტონის საფარით	99 019.0	96 045.0
19	ქ. სამტრედიაში, თავისუფლებისა და კრავეიშვილების კვეთაზე არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები	91 291.0	88 703.0

20	განსახურდიას N3 ბინის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	115 784.0	111 971.0
სულ ჯამი		3 711 403.0	3 567 355.0

საჩხერის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდინარე ყვირილას კალაპოტში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები	174 591.0	165 861.0
2	სოფელ ჭორვილაში მჭედლიშვილების, წიქვაძეების, ნადირაძეების და ბურძენიძეების უბნების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)	123 659.0	117 476.0
3	სოფელ ქორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოწყობის სამუშაოები (მეორე ეტაპი)	199 020.0	189 069.0
4	სოფელ არგვეთის კულტურის სახლის მშენებლობა (მეორე ეტაპი)	363 939.0	345 742.0
5	სოფელ ქვემოხევში შიდა საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა	100 006.0	95 005.0
6	სოფელ გამოღმა არგვეთში მარკოზიშვილებისა და მარგველაშვილების უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა	149 985.0	142 485.0
7	„ჯრუჭის“ მონასტრის გუმბათისა და სამრეკლოს რეაბილიტაცია	250 000.0	237 500.0
8	სოფელ უზუნთაში შიდა საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა	100 000.0	95 000.0
9	სოფ. ქვედა ორღულში ნადირაძეების უბნიდან ჭილაძეების, ქველაძეების და კალმახელიძეების უბნის დამაკავშირებელ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობასოფ. ზედა ორღულში მაჭავარიანების უბნიდან ორღულის სკოლის, ბადისა და მდ.ღესერის მიმდებარედ სარიტუალო დარბაზის დამაკავშირებელ გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა (მეორე ეტაპი)	200 000.0	190 000.0
10	სოფელ ჭორვილაში საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (მეორე ეტაპი)	150 000.0	142 500.0
11	სოფელ საირხეში საუბნო გზებზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა (მეორე ეტაპი)	150 000.0	142 500.0
12	სოფელ გორისაში ყაფიაძეების უბნის სასაფლაომდე გზაზე და ზაქაშვილების უბანში რკინა ბეტონის საფარის მოწყობა	150 000.0	142 500.0
13	სოფელ გორისაში მაისურაძეების, ნასარიძეების უბანში, ქვედა შეყლაშვილების უბანში, გზისა და სანიაღვრის მოწყობა	125 000.0	118 750.0
14	სოფელ არგვეთში კიპაროიძეების უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა	100 000.0	95 000.0
15	სოფელ სავანის საუბნო გზების რეაბილიტაცია (მეოთხე ეტაპი)	100 000.0	95 000.0
16	სოფ. იცვისის საუბნო გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა (მესამე ეტაპი)	100 000.0	95 000.0
17	სოფელ ბახიოთში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	150 000.0	142 500.0
18	სოფელ სარეკში 17-ე ქუჩაზე ჭილაძეების, ნადირაძეების, ჭადაძეების, სხირტლაძეებისა და დობორჯგინიძეების უბანში გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა.სოფელ სარეკში ღვთისმშობილის ეკლესიიდან აბრამიშვილების, ლობჯანიძეების და ლაბაძეების უბნისაკენ მიმავალ ცენტრალურ გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა (მეორე ეტაპი)	100 000.0	95 000.0

19	სოფელ ქვემოხევში შიდა საუბნო გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა (მეორე ეტაპი)	100 000.0	95 000.0
20	ჩიხის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	561 621.0	533 541.0
21	ქ.საჩხერეში, ცენტრალურ უბნებში ფასადებისა და ქუჩების რეაბილიტაცია (ალმაშენბლის, გომართლის, კოსტავას, გამსახურდიას, მაჭავარიანის ქუჩა და დღურმიშვიძის ქოჩა)	300 000.0	285 000.0
22	ქ.საჩხერეში ქუჩების რეაბილიტაცია; ბამბეულის ახალ დასახლებაში გზაზე და ჩიხებში რკ/ბეტონის საფარის მოწყობა	100 000.0	95 000.0
23	სოფელ ივანწმინდაში ცენტრალური მაგისტრალიდან დეკანოიძეების უბნამდე გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა	100 000.0	95 000.0
24	სოფელ მერჯევში დეკანოიძეების უბნიდან სასაფლაომდე გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა	100 000.0	95 000.0
25	სოფელ ქორეთში იობაშვილები-გუდაბეების უბნიდან ეზიაშვილები-გოგატიშვილების უბნამდე დამაკავშირებელ გზაზე და უდერძის ტაძართან მისასვლელ გზაზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა	180 000.0	171 000.0
26	სოფელ ჯრიაში საუბნო გზაზე რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა	135 652.0	128 869.0
27	სოფელ ჭალაში მდ.შუმის ორივე მხარეს გზებზე რკინა ბეტონის საფარის მოწყობა (მეორე ეტაპი)	100 000.0	95 000.0
28	სოფელ ლოდორაში ხარაიშვილებისა და ტენაძეების უბანში გზაზე რკინა ბეტონის საფარით მოწყობა	150 000.0	142 500.0
29	სოფ.ჭალოვანში ლაშიათხევის მიმართულებით საავტომობილო გზაზე რკ/ბეტონის საფარისა და საავტომობილო ხიდის მოწყობა	100 000.0	95 000.0
30	სოფ.მოძვში, ზედა-ქვედა მოძვის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	100 000.0	95 000.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>4 813 473.0</b>	<b>4 572 798.0</b>

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოს რეაბილიტაცია	380 785.0	380 785.0
2	მრავალბინიანი კორპუსების გარე ფასადების რეაბილიტაცია	225 446.0	225 446.0
3	სოფ. ნაბოსლევის წყლის სისტემის რეაბილიტაცია	383 388.0	383 388.0
4	ქ. ტყიბულის #3 საბ. ბაღის ეზოსა და ღობის რეაბილიტაცია	150 042.0	150 042.0
5	ქ. ტყიბულში, შიდა გზების რეაბილიტაცია:	65 921.0	65 921.0
6	ქ. ტყიბულში, მრავალბინიანი კორპუსების შიდა ეზოების რეაბილიტაცია:	296 607.0	296 607.0
7	ქ. ტყიბულში, მრავალბინიანი კორპუსების გარე ფასადების რეაბილიტაცია:	753 691.0	753 691.0
8	ქ. ტყიბულში, სკვერების მოწყობა:	132 822.0	132 822.0
9	ქ. ტყიბულში, მინი სტადიონების რეაბილიტაცია, ხელოვნური საფარით:	158 995.0	158 995.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>2 547 697.0</b>	<b>2 547 697.0</b>

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქალაქ ქუთაისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის გზის რეაბილიტაცია	700 000.0	665 000.0
2	მანდარისა ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა	897 437.0	852 565.0
3	ავტომშენბლის გამზირის (#3,5,7,9,11,15,17) ფასადები	849 712.0	807 226.0
4	სულხანსაბას ქუჩის პირველი შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1 243 060.0	1 180 907.0
5	ლომორის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა	348 556.0	331 128.0
6	გუგუნავას #9-დან გუგუნავას ქუჩამდე საგზაო ინფრასტრუქტურა	130 508.0	123 982.0
7	ჯიბლაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა	290 996.0	276 446.0
8	ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა	224 107.0	212 901.0
9	ლიფტების რეაბილიტაცია	300 000.0	285 000.0
10	სადარბაზოების რეაბილიტაცია	800 000.0	760 000.0
11	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია	680 365.0	646 346.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>6 464 741.0</b>	<b>6 141 501.0</b>

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.მაღლაკში #5 №7,№8, №9, №10-ჩერელაშვილების უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	1 648 184.0	1 043 494.0
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის უკანეთში, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	384 755.0	365 517.0
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბანოჯაში ბარბარეწმინდას უბანში, ასევე მე-2, მე-6 , 21- ე,22-ე და 26-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	823 124.0	781 967.0
4	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გეგუთში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	435 933.0	414 136.0
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტყაჩირში აშვეთიების უბანში, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	247 958.0	235 560.0
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონში მასმრიკიშვილების უბანში (ტაბართან მისასვლელი ) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	360 780.0	342 741.0
7	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	618 029.0	587 127.0
8	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღა-ქუთაისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	360 153.0	342 145.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>4 878 916.0</b>	<b>4 112 687.0</b>



ქიათურის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	გურაბანიძეებიდან სოფელ ვაკევისამდე გზის რეაბილიტაცია	200 000.0	190 000.0
2	სოფელ მეჩხეთურის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	200 000.0	190 000.0
3	სოფელ ითხვისში 32-ის დასახლების ითხვისის მალაროდან დარბაიძეების ბოლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	200 000.0	190 000.0
4	ქიათურის მუნიციპალიტეტის, სოფელ კაცხის ორ მონაკვეთზე, ჩიხელიძეების უბნის და მოედნიდან სერის უბნამდე მისასვლელი გზის მშენებლობა	1 357 584.0	1 289 704.0
5	სოფ. უსახელოსფხალაძეები-ცერცვაძეების გზის რეაბილიტაცია	210 527.0	200 000.0
6	სოფ. წინსოფელში, სკინდორში და ჭილოვანში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	318 226.0	302 314.0
7	სოფ. ზოდში საჯარო სკოლის გზის რეაბილიტაცია	113 837.0	108 144.0
8	სოფ. ზოდში გიორგაძეების საუბნო გზის მოწყობა 800 მ	233 854.0	222 160.0
9	სოფ. პერევისაში კვანტალიანები-ცხადაძეებისუბანში გზის მოწყობა	157 895.0	150 000.0
10	ტაბიძის ქუჩის შიდა გზების, ტროტუარისა და ეზოების მოწყობა	210 527.0	200 000.0
11	ნაგუთის დასახლებიდან ბაზრამდე და საჩხერის გზატკეცილის გასწვრივ შიდა ეზოებისა და ღობეების მოწყობა	288 563.0	274 134.0
12	ჭავჭავაძის ქუჩის გზისა და ტროტუარის რეაბილიტაციის სამუშაოები	315 790.0	300 000.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>3 806 803.0</b>	<b>3 616 456.0</b>

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია (გორგაძეების, ფაბრიკის უბანი)	36 853.0	36 853.0
2	სოფელ ლეღვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთი)	50 077.0	50 077.0
3	სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია	63 018.0	63 018.0
4	სოფელ ლეღვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთი) (II ეტაპი)	178 700.0	178 700.0
5	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ღორეშა-მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია	200 000.0	200 000.0
6	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მაქათუბანის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	200 000.0	200 000.0
7	სოფელ ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბრუისის უბანი)	150 000.0	150 000.0
8	სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესხების უბანი)	75 000.0	75 000.0
9	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზების რეაბილიტაცია (II ეტაპი)	270 639.0	270 639.0
10	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	150 000.0	150 000.0
11	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვახანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ინასარიძეების უბანი)	200 000.0	200 000.0
12	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბერაძეების და ზვიადაძეების უბანი X ღერძი)	229 326.0	229 326.0
13	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესერიძეების უბანი)	150 000.0	150 000.0
14	სოფელ ლაშვში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ცეციტიშვილების უბანი)	75 000.0	75 000.0
15	სოფელ ხევის საუბნო გზის რეაბილიტაცია	130 085.0	130 085.0
16	სოფელ ვერტყვილაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (გოგიაშვილების უბანი)	142 783.0	142 783.0
17	სოფელ მაქათუბანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (წიქარიშვილების უბანი)	109 234.0	109 234.0
18	სოფელ ქროლში საუბნო გზების რეაბილიტაცია	100 000.0	100 000.0
19	სოფელ ახალსოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია ( III-ე ეტაპი)	265 047.0	265 047.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>2 775 762.0</b>	<b>2 775 762.0</b>

## ხონის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქ. ხონში ახალგაზრდობის ქუჩის, ჩიხის, ახალგაზრდობის ქუჩის I და II შესახვევის რეაბილიტაცია	369 271.0	369 271.0
2	სოფელ მათხოჯში მე-7-ე ქუჩის მოასფალტება	356 832.0	356 832.0
3	სოფელ მათხოჯში მე-8-ე ქუჩის მოასფალტება	147 938.0	147 938.0
4	სოფელ გვაზაური-ღანირის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება	206 159.0	206 159.0
5	სოფ. საწულუკიძეოს სასაფლაოდან ახალსოფლის მიმართულებით მიმავალი გზის მოასფალტება	415 108.0	415 108.0
6	ჩაის მეურნეობის მეორე უბნის გზის მოასფალტება	222 959.0	222 959.0
7	ქ. ხონში ჭანტურიას ქუჩის II და VI შესახვევის რეაბილიტაცია	198 185.0	198 185.0
8	სოფელ ნახახლევიში #3 ქუჩის მოასფალტება	156 828.0	156 828.0
9	სოფელ კუხში მე-3-ე ქუჩის მოასფალტების დასრულება	300 846.0	300 846.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>2 374 126.0</b>	<b>2 374 126.0</b>

ახმეტის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქ.ახმეტაში წინოშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია	126 156.0	126 156.0
2	სოფ. ქვემო ალვანის შიდა საუბნო გზის (გზა III ) რეაბილიტაცია	113 138.0	113 138.0
3	სოფ. ზემო ალვანის შიდა საუბნო გზის (გზა№1) და სოფ. საკობიანოს გზის რეაბილიტაცია	191 684.0	191 684.0
4	სოფ.ჯოყოლოში ხიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	149 778.0	149 778.0
5	სოფ.მატნის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	578 923.0	578 923.0
6	ქ.ახმეტაში შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაცია	203 657.0	203 657.0
7	ქ.ახმეტაში ანდრონიკაშვილის ქუჩის გზის რეაბილიტაცია	281 459.0	281 459.0
8	ქ.ახმეტაში სააკაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია	294 491.0	294 491.0
9	სოფ.არაშენდის საუბნო გზის რეაბილიტაცია	348 354.0	348 354.0
10	სოფ.ზ.ხოდაშენში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	511 851.0	511 851.0
11	ქ.ახმეტაში ფიროსმანის I ქუჩის გზის რეაბილიტაცია	148 031.0	148 031.0
12	ქ.ახმეტაში, ყაზბეგის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია	248 833.0	248 833.0
13	ქ.ახმეტაში ჭავჭავაძის I ჩიხის რეაბილიტაცია	85 609.0	85 609.0
14	სოფ. ჯოყოლოში სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	72 512.0	72 512.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>3 354 476.0</b>	<b>3 354 476.0</b>

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფელ ველისციხეში სარიშვილის გზის რეაბილიტაცია	98 429.0	93 507.0
2	სოფელ ზეგაანში სკოლის გზის რეაბილიტაცია	183 229.0	174 067.0
3	კახიფარში მინი მოედანის მოწყობა	85 000.0	80 750.0
4	ვაჩნაძიანში საბავშვო ბაღის გზის რეაბილიტაცია	100 000.0	95 000.0
5	შაშიანში, ვაზისუბანში, ზეგაანში, ჩუმლაყში, კარდენახში და ჩალაუბანში ჭაბურღილის მოწყობა	757 070.0	719 216.0
6	მტკუხანში უზუნაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია	123 371.0	117 202.0
7	ს. გურჯაანში მურაკაანთ უბნის გზის რეაბილიტაცია	107 000.0	101 650.0
8	ძირკოკში ახალგაზრდული ცენტრის რეაბილიტაცია	300 000.0	285 000.0
9	ბაკურციხეში, კარდენახში, ყიტაანში და კოლაგში მინი მოედნისა, სატრენაჟორო სივრცის და საბავშვო მოედნის მოწყობა	243 160.0	231 000.0
10	მელაანში რკინიგზის უბნის გზის რეაბილიტაცია (მელაანი ჩალაუბნის დამაკავშირებელი გზა)	300 000.0	285 000.0
11	კაკრეთში და ზემო კაკრეთში მინი მოედნისა და საბავშვო მოედნის მოწყობა	155 000.0	147 250.0
12	ნანაიანში მინი მოედნის საბავშვო მოედნის და ტრენაჟორების მოწყობა	150 000.0	142 500.0
13	არაშენდაში მინი მოედნის საბავშვო მოედნის და ტრენაჟორების მოწყობა	150 000.0	142 500.0
14	დარჩეთში და ქოდალოში მინი მოედნის მოწყობა	170 000.0	161 500.0
15	ქ. გურჯაანში სანაპიროს ქუჩაზე და ახტალის ტერიტორიაზე სკვერი და ტრენაჟორების მოწყობა	75 000.0	71 250.0
16	ქ. გურჯაანში ბესიკის ქუჩაზე მინი მოედნის მოწყობა	85 681.0	81 397.0
17	ქ. გურჯაანში გაურჯის ქუჩის რეაბილიტაცია	143 605.0	136 424.0
18	ქ. გურჯაანში კოტეხის ქუჩის რეაბილიტაცია	215 735.0	204 948.0
19	ქ. გურჯაანში წმ. ნინოს მეორე ჩიხი და აღმაშენებლის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია	133 960.0	127 262.0
20	ქ. გურჯაანში სარაჯიშვილის მეორე შესახვევის რეაბილიტაცია	202 583.0	192 453.0
21	ქ. გურჯაანში წმ. ნინოს პირველი ჩიხის, გურამიშვილის #7-9 და ნონეშვილის #13 ეზოების მოასფალტება	196 723.0	186 886.0

22	ქალაქ გურჯაანში (უტიამვილის) უბნის გზის რეაბილიტაცია	87 177.0	82 818.0
23	ქ. გურჯაანში ვაჩნაძის ქუჩის და ჩიხების რეაბილიტაცია	333 110.0	316 454.0
24	ქ. გურჯაანში შალიკაშვილების კორპუსის ეზოს რეაბილიტაცია ქ. გურჯაანში ნონეშვილის 7-ის კორპუსის ეზოს რეაბილიტაცია	190 356.0	180 838.0
25	ქ. გურჯაანში ნონეშვილის ჩიხები და ნონეშვილის 6-ის ეზო	176 604.0	167 773.0
26	ქ. გურჯაანში მინი მოედანი (კოტეხში)	85 000.0	80 750.0
27	ვაჩნაძიანში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია(პალატებისკენ მიმავალი გზა)	300 000.0	285 000.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>5 147 793.0</b>	<b>4 890 395.0</b>

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში 12-ე, 13-ე ქუჩების და 14-ე ქუჩის მონაკვეთის საავტომობილო გზის მოწყობა (დარჩენილი მონაკვეთი)	450 826.0	450 826.0
2	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში N2-ე ქუჩა პარალელური ალტერნატიული გზა (მგ. ქავთარაძე), საავტომობილო გზებზე ასფალტის საფარის მოწყობა (დარჩენილი მონაკვეთი)	779 962.0	779 962.0
3	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ.ქვემო ქედში მე-2 ქუჩის საავტომობილო გზაზე ასფალტო ბეტონის მოწყობა	626 191.0	626 191.0
4	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ.მირზაანში ე.წ.„რაჭველების“ შუა უბნის საავტომობილო გზაზე ასფალტო ბეტონის მოწყობა	206 975.0	206 975.0
5	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები (დასასვენებელი პარკის, ბავშვთა გასართობი მოედნისა და ატრაქციონების მოწყობა).	189 978.0	189 978.0
6	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში და ქვემო ქედში დარჩენილი უბნების გარე განათების მოწყობა	184 345.0	184 345.0
7	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. მირზაანში „რაჭველების“ უბნის პირველ ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა	238 819.0	238 819.0
8	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N1 N2, ქვემო ქედის, სამთაწყაროს და ფიროსმანის საბავშვო ბაღების ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები	192 180.0	192 180.0
9	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედში ს/კ52.09.31.315 სპორტული დარბაზის გადახურვისდა სოფ. სამრეკლოში ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები	109 472.0	109 472.0
<b>სულ ჯამი</b>		<b>2 978 748.0</b>	<b>2 978 748.0</b>

თელავის მუნიციპალიტეტი

